+

10

პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2026 წლის ___ აპრილი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2025 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში 2025 წლის **III-IV** კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში 2025 წლის **III-IV** კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2025 წლის **III-IV** კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მესამე რანგის პირველი კატეგორიის

უფროსი სპეციალისტის მ/შ: მაია უგლავა

შეთანხმებულია:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი: მაია ბერაძე

აპარატის უფროსი: გელა თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა ჟორჟოლიანი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482611033**
თარიღი: **20/04/2026**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წარმოგიდგენთ ანგარიშს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2025 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი თან ერთვის.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2025 წლის III და IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ მესამე და მეოთხე კვარტალში დახმარება გაეწია მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებს, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დახმარება გაეწია მრავალშვილიან 19 ოჯახს, აქედან მე-3 შვილის შეძენის გამო 12 ოჯახს 600 ლარი, მეოთხე შვილის შეძენის გამო 5 ოჯახს - 800 ლარი, მე-6 და მე-7 შვილის შეძენის გამო 2 ოჯახს 1500 ლარი. სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65000-ი ქულის ჩათვლით რეგისტრირებულმა 12 ოჯახმა, რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის სამი და მეტი შვილი ერთჯერადად მიიღო 300 ლარი. ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია იძულებით გადაადგილებულ 16 ოჯახს, რომელთაც გარდაეცვალათ ოჯახის წევრი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან სარიტუალო ხარჯების თანა დაფინანსებისათვის გამოეყოთ - 400 ლარი.

ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილის, სახელმწიფო გასაცემლის (კონპენსაცია, საპენსიო პაკეტი, საყოფაცხოვრებო სუბსიდია) მიმღებ 22 პირს თითოეულს 350 ლარის ოდენობით, სხვა სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ 7 ომის მონაწილეს- 350 ლარის ოდენობით, , ცერებრალური დამბლით დაავადებულ 14 პირს თითოეულს 600 ლარი, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 7 პირს, რომლებსაც სტატუსი მიენიჭათ თვალის დაავადების დიაგნოზით გაეწია ფულადი დახმარება თითოეულს - 400 ლარი, თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე: ჰემოდიალიზზე და პერიტონეულ დიალიზზე დამოკიდებულ 5 პირს გაეწია დახმარება თითოეულს -2000 ლარი, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 29 ბავშვს თითოეულს 500 ლარი, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე 21 პირს გაეწია დახმარება თითოეულს 300 ლარის ოდენობით, ფსორიოზით დაავადებულ 36 პირს გაეწია დახმარება 400 ლარის ოდენობით. პარკინსონით დაავადებულ 41 პირს გაეწია ერთჯერადი ფულადი დახმარება თითოეულს 400 ლარის ოდენობით, მძიმე დაავადების მქონე 373 ბენეფიციარს გაეწია დახმარება მედიკამენტების შესაძენად .ფენიკელტონურიის დაავადების მქონე 44 ბავშვს გაეწია ფულადი დახმარება ყოველთვიურად 250 ლარი. ხანდაზმულ მოქალაქეთა მატერიალური წახალისებისათვის 100 წელს გადაცილებულ 2 მოქალაქეს გამოეყო ფულადი დახმარება 2000 ლარი.

შესაბამისი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად განსაკუთრებული საჭიროების მქონე 16 მძიმე სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობაში მყოფ ოჯახს, საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ინვენტარის შესაძენად გაეწია ფულადი დახმარება. სოციალურად დაუცველ 2 ოჯახს პირველი და მეორე შვილის შეძენისთვის გამოეყო 500 ლარი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში თავშესაფრის გარეშე დარჩენილია 44 მოქალაქე, მათ ბინის ქირის ასანაზღაურებელად თვეში ერთხელ გამოეყოფათ - 300 ლარი. აღნიშნული მუხლი გათვალისწინებულია იმ უსახლკარო პირებზე რომელთაც საცხოვრებელი სახლი დაინგრა, დაიწვა ან საცხოვრებლად უვარგისი, ავარიული ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გახდა სტიქიური უბედურების, უბედური შემთხვევის ან სხვა გარემოებების გამო. ასევე ოჯახში, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირების, შშმ პირების და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის.

ასევე ერთჯერადი ფულადი დახმარებები მიიღეს:

დედ-მამით ობოლმა 2 ბავშვმა - 500 ლარი

სტიქიის შედეგად დაზარალებულმა 64 ოჯახმა მიიღო დახმარება ფულადი სახით დაზიანების ხარისხის მიხედვით შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულმა 38 წარჩინებულმა სტუდენტმა რომლებმაც მოიპოვეს სახელმწიფო სასწავლო 100%-ანი გრანტი, ყოველთვიურად გამოეყოთ 200 ლარი. 70%-იანი გრანტის შემთხვევაში 150 ლარი და 50%-იანი გარანტის შემთხვევაში 100 ლარი.

2025-2026 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ა(ა)იპ – სარეაბილიტაციო ცენტრი „ჩვენი სახლის“ 23-მა ბენეფიციარებმა დახმარების სახით მიიღო 150 ლარი.

2025-2026 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 0-დან 120 000) ქულის ჩათვლით 78 პირველკლასელებისათვის სასკოლო ნივთების შესაძენის მიზნით გამოყოფილი იქნა150 ლარი.

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 921 მოქალაქეზე მოხდა საგარანტიო წერილის გაცემა. თანადაფინანსება მოხდა გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციებისათვის მათ შორის თვალის კოსმეტიკური სახის ან ცხვირის რინოპლასტიკის რეკონსტრუქციული ფორმის ოპერაციების, სხვა სამედიცინო მომსახურებისათვის (გარდა თერაპიულისა) ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული და სხვა სახის კვლევებისათვის რომელიც არ ანაზღაურდება სადაზღვევო პოლისით ან არ არის გათვალისწინებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, რომელიც განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ან სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ დარჩენილი პაციენტის მიერ გადასახდელი წილის 50%-ით, არაუმეტეს 1000 ლარისა)

სტაციონალური მკურნალობა სამედიცინო დაწესებულებში დაუფინანსდა 49 არასრულწლოვანს. დაფინანსება გაეწია რებილიტაცია-აბილიტაციის საჭიროების მქონე 69 ბავშვს.

მგზავრობის ხრაჯები აუნაზღაურდათ ბავშვთა ადრეული განვითარების სპეციალისტებს რომლებიც ბავშვისათვის ბუნებრივ გარემოში (სახლი, ბაღი, და ა.შ) განახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 0 -დან 7 წლამდე ბავშვთა ადრეული განვითარების მხარდაჭერის პროგრამის მიწოდებას, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვებისათვის. მგზავრობის ხარჯების ასანაზღაურებლად გადარიცხული იქნა 1232 ლარი.

პატივისცემით,